

ადამიანთა უფლებების შედარება საქართველოსა და ესტონეთში

Estonia-ესტონეთი

Georgia-საქართველო

What are “human rights”?-რა არის „ადამიანთა უფლებები“

“people’s general rights”- „ადამიანთა ზოგადი უფლებები“

“Protection of people’s rights”- „ადამიანთა უფლებების დაცვა“

“can’t say”- „მიჭირს პასუხის გაცემა“

Which rights are violated?- რომელი უფლებები ირღვევა?

“ones related to the socioeconomic situation”- სოციო-ეკონომიკურ გარემოსთან კავშირში მყოფნი

The most problematic rights- ყველაზე პრობლემატური უფლებები

Integration- ინტეგრაცია

Religious freedom- რელიგიური თავისუფლება

Hate speech- სიძულვილის ენა

Discrimination- დისკრიმინაცია

Prisoner rights- პატიმართა უფლებები

Primary information sources- ძირითადი საინფორმაციო საშუალებები

Media- მედია

Family- ოჯახი

Friends- მეგობრები

Internet- ინტერნეტი

ესტონეთსა და საქართველოში ჩატარდა კვლევა ადამიანთა უფლებების შესახებ. ორივე ქვეყნის მოსახლეობას გამოკითხვის ფარგლებში სთხოვეს გამოეთქვათ აზრი მათ ქვეყნებში არსებული სიტუაციის შესახებ ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით. მოსახლეობასთან ერთად ზოგადი სიტუაცია ექსპერტებმაც შეაფასეს.

როგორც ესტონელ, ისე ქართველ რესპოდენტთა შორის მკაფიოდ გამოიკვეთა ცნობიერების დაბალი დონე ადამიანთა უფლებების შესახებ. ტერმინ „ადამიანთა უფლებების“ განსაზღვრება მათი მხრიდან იყო ზოგადი და ზედაპირული, სამწუხაროდ, მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა (ესტონეთში 30%, ხოლო საქართველოში 14%) საერთოდ ვერ მოახერხა ზუსტი პასუხის გაცემა. ეს მაჩვენებლები კარგად აღწერს ორივე ქვეყანაში არსებულ პრობლემას: ადამიანებმა არ იციან მათი უფლებების შესახებ და, შესაბამისად, არ შეუძლიათ მათი დაცვა, ეს უკანასკნელი კი ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მხოლოდ ცნობიერების ამაღლების შემდეგ გამომუშავდება. ორივე ქვეყანა განიცდის სირთულეებს სამოქალაქო განათლების სწავლებისა და ადამიანთა უფლებების სასკოლო პროგრამაში ინტეგრირების კუთხით.

ცნობიერების დაბალი დონე, რთული სოციო-ეკონომიკური პირობები და ცხოვრების დაბალი სტანდარტები განაპირობებს იმას, რომ როგორც ქართველი, ისე ესტონელი რესპოდენტები ხაზს უსვამენ ადამიანთა უფლებების დარღვევას სოციალურ სფეროში და სოციალური

თანასწორობის უზრუნველყოფის სირთულეს. რესპოდენტებისათვის ზემოთხსენებული დარღვევები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დარღვევები სხვა სოციალური, ეკონომიკური და საკუთრების უფლებებისა, რომლებიც, ძირითადად, არც განიხილება ადამიანის უფლებებად.

საქართველოსთან შედარებით, ესტონეთის მოსახლეობა ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ სიტუაციას მათ ქვეყანაში უფრო პოზიტიურად აფასებს. ესტონელი რესპოდენტების 29%-ის აზრით, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ყველაფერი კარგად არ არის. ესტონეთის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გასაკვირად მაღალია, თუმცა გაცილებით უკეთესია, ვიდრე საქართველოში დაფიქსირებული 64%.

ორივე გამოკითხვაში აღნიშნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემები, ამ მხრივ არსებული სიტუაცია აწუხებთ ექსპერტებსაც. 2012 წელს ესტონეთი შეუერთდა "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციას", ამის მიუხედავად, დისკრიმინაციის შემთხვევები საკმაოდ ხშირია. ქართულს საზოგადოებაშიც მღელვარების იგივე მიზეზები არეობს, თუმცა აქ დისკრიმინაციას სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირთა მიმართ არასაკმარისი დახმარებაც ემატება.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ ერთი მსგავსებაა ორ ქვეყანას შორის. აღნიშნული საკითხები ორივე ქვეყნის შემთხვევაში აღქმულია, როგორც საზოგადოებისთვის პრობლემური, თუმცა პრობლემების არსი განსხვავებულია. ესტონეთის შემთხვევაში მთავარ პრობლემებად დასახელდა უთანასწორობა შრომით ბაზარზე (დიდი სხვაობა ანაზღაურებაში გენდერული ნიშნით) და ქალთა დაბალი სოციალური ჩართულობა. ამ გადაუჭრელ საკითხთა გარდა, საქართველოში არსებული მთავარი პრობლემები მოიცავს გენდერულ შვეიწროებას, ოჯახურ ძალადობას და ქალთა მკვლელობის მაღალ მაჩვენებელს. ეს პრობლემები კი ხშირად არც აღიქმება გენდერულ დისკრიმინაციად.

სექსუალური უმცირესობების შემთხვევაში ესტონეთის მთავარი პრობლემები უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, სოციალურ დისკრიმინაციას, ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ სიძულვილის ენას და ცნობიერების დაბალ დონეს საზოგადოების ყველა სეგმენტში. სექსუალური უმცირესობების პრობლემათა მთავარ წყაროს კი საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია წარმოადგენს, რომელიც არ აღიარებს ერთი და იმავე სქესის წყვილებს. ეკლესიის ყოვლისმომცველ გავლენას საზოგადოებაზე და მის მიერ სექსუალური უმცირესობების შესახებ დამკვიდრებულ სტერეოტიპებს ზოგჯერ უმცირესობებსა და ეკლესიას შორის ფიზიკურ დაპირისპირებაც კი მოჰყვება, როგორც ეს 2012 წლის მაისის დემონსტრაციის დროს მოხდა.

მთავარი განსხვავება ესტონეთსა და საქართველოს შორის არის რელიგიური თავისუფლების დარღვევა და მართლმადიდებლური ეკლესიის ძლიერი გავლენა ქართულ საზოგადოებაზე. ეკლესია ახერხებს შეინარჩუნოს განსაკუთრებული ურთიერთობა სახელმწიფოსთან, რაც აძლევს საშუალებას ეფექტურად უგულოვებულად ადამიანის უფლებების ზოგიერთი სტანდარტი. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ანტიდისკრიმინაციულ კანონში დამატებული სპეციალური მუხლი, რომლის მიხედვითაც ეკლესიის ღირებულებებს აქვთ იმუნიტეტი კანონმდებლობის წინაშე. ესტონეთში არც მოსახლეობას და არც ექსპერტებს არ დაუსახელებიათ რელიგიური თავისუფლების დარღვევები.

ესტონური საზოგადოების ერთ-ერთ პრობლემად გამოკითხვის ორივე ნაწილში ინტეგრაციის პრობლემა დასახელდა. მოსახლეობის საკმაოდ დიდი, რუსულენოვანი ნაწილი მათი უფლებების დარღვევად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ბევრ მათგანს მოქალაქეობა არ აქვს, რუსული ენის გამოყენება კი ოფიციალურ სივრცეში საკმაოდ შეზღუდულია. ესტონურის გარდა სხვა ენაზე საქმეთწარმოებაზე შეზღუდვების დაწესება, ავტომატური ნატურალიზება, მოქალაქეობის მიღების გამარტივება ან მოქალაქეობის არ ქონა არ არის ადამიანის უფლებების დარღვევა, თუმცა ეს ყველაფერი მაინც დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის გრძნობებზე და იმაზე, თუ როგორ უყურებენ ადამიანები თავიანთ ცხოვრებას ესტონეთში. ადამიანები თავს დისკრიმინირებულად გრძნობენ ენის საკმარისად არცოდნის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტების თქმით, ესტონეთში ენობრივი დისკრიმინაცია არ არსებობს. რაც შეეხება საქართველოს, ქართული ენის არასათანადო ცოდნამ შესაძლოა შეამციროს ადამიანის შანსები შრომით ბაზარზე, თუმცა საქართველოში არ არის ესტონეთის მსგავსი განსაკუთრებული სახის სოციალური დაყოფა.

ექსპერტების თქმით, პატიმართა მდგომარეობა ესტონეთსა და საქართველოში გაუმჯობესდა, მაგრამ საქართველოში განსაკუთრებით მკვეთრი პრობლემა პატიმართა შეურაცხყოფაა. ყურადღება იმაზეც გამახვილდა, რომ ასეთი შემთხვევები ხშირად დაუსჯელი რჩება.

ორივე ქვეყნის მოსახლეობისათვის ინფორმაციის მთავარი წყარო არის მედია, რომელიც დიდი როლს თამაშობს წარმოდგენებისა და აზრის ფორმირებაზე. ორივე შემთხვევაში ექსპერტები მედიის ხარისხს ნეგატიურ ფერებში ხედავენ. როგორც ესტონეთში, ასევე საქართველოში, პრობლემაა წყურვილი სკანდალების მიმართ, რაც ახალი ამბების გაშუქებისას რეალობის ასახვის ხარისხს ამცირებს. ქართველ ექსპერტებს სურთ, რომ მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაცია უფრო მეტად პოზიტიური ხასიათის იყოს, რათა ხალხში არ გაჩნდეს უიმედობა და ადამიანის უფლებების დარღვევის დაუსჯელობის შეგრძნება. ესტონეთში გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ საკმარისად შუქდება ადამიანის უფლებების საკითხები, თუმცა ამას ხშირად არაპირდაპირი და განსხვავებული კონტექსტები აქვს. ამის მიზეზად კი შეიძლება დავასახელოთ ჟურნალისტების არასაკმარისი ცოდნა ადამიანთა

უფლებების სფეროში. დასაბუნია, რომ მედია არ აფასებს სათანადოდ გენდერული თანასწორობის კომისიის წევრთა საქმიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთს გენდერული თანასწორობის კუთხით ყურადსაღები პრობლემები აქვს. სიძულვილის გავრცელებაც ასევე აღინიშნა მედიაში არსებულ პრობლემად, ამ მხრივ საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ექსპერტების თქმით, საქართველოში, პრაქტიკულად, გაქრა სიძულვილის ენა მედია სივრციდან. ეს მიღწევა აღიარეს სხვადასხვა უმცირესობებმაც.

გარკვეულწილად მოულოდნელი იყო, რომ ესტონელი რესპოდენტების მხოლოდ 27%-მა, ქართველი რესპოდენტების კი 25%-მა დაასახელა ინტერნეტი, როგორც ინფორმაციის წყარო. საქართველოს შემთხვევაში ამის მიზეზი ინტერნეტზე შეზღუდული წვდომაა გარკვეულ რეგიონებში, მაგრამ ეს მაჩვენებელი უფრო მეტად გასაკვირია ესტონეთის შემთხვევაში, სადაც ინტერნეტი მისაწვდომია მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო ქვეყანა მსოფლიოს ლიდერია ინტერნეტ თავისუფლების კუთხით. ამავე დროს, ამას მივყავართ სექსუალური უმცირესობების მიმართ სიძულვილის გავრცელებისკენ.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ქვეყანას აქვს არაერთი პრობლემა ადამიანთა უფლებების კუთხით, მაგრამ როგორც მთავრობები, ისე არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მუშაობენ ამ პრობლემების გადასაჭრელად და ცნობიერების ასამაღლებლად. ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები დადებითად იქნა შეფასებული კვლევაში, რაც ბადებს სტიმულს აქტიური მოქმედებების გაგრძელებისთვის. მართლაც, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ორივე ქვეყანაში.